

შეთანხმება N1 ურთიერთგაგების
მემორანდუმში ცვლილებების შეტანის
თაობაზე

Agreement on the Amendment of the
Memorandum of Understanding No.1

თბილისი 30 ივნისი, 2016
ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა
(შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი
საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა
კალაძის სახით;

მეორე მხრივ, სს „ელექტროენერჯეტიკული
სისტემის კომერციული ოპერატორი“
(შემდგომში „ესკო“) წარმოდგენილი
გენერალური დირექტორის, ვახტანგ
ამბოკაძის სახით;

მესამე მხრივ, შპს „ენერგოტრანსი“
(შემდგომში „ეტ“) წარმოდგენილი
დირექტორის, კახა სეხნიაშვილის მიერ;

და მეოთხე მხრივ, შპს „მაჭახელა ჰესი“
(შემდგომში „კომპანია“) - საიდენტიფიკაციო
კოდი: 404940999, წარმოდგენილი
დირექტორის, ვახტანგ ღონღაძის მიერ;

ვინაიდან, 2014 წლის 24 ივლისს მთავრობას,
ესკო-ს, ეტ-სა და კომპანიას შორის დაიდო
ურთიერთგაგების მემორანდუმი
(„მემორანდუმი“) მაჭახელა ჰესი 1-ისა და
მაჭახელა ჰესი 2-ის პირველადი პროექტისა
და მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების
შეფასების ანგარიშის მომზადების თაობაზე
და მხარეები დღემდე ხელმძღვანელობენ
აღნიშნული მემორანდუმის პირობებით;

ვინაიდან, მაჭახელა ჰესი 1-თან
დაკავშირებით კომპანიას და საქართველოს
ენერჯეტიკის სამინისტროს
მიზანშეწონილად მიაჩნიათ წინასაპროექტო
კვლევა-სამიზნო სამუშაოების
განხორციელება მაჭახელას კასკადური
ჰესების მხოლოდ ქვედა საფეხურთან
მიმართებით კორექტირებული ნიშნულების
ფარგლებში;

ვინაიდან, მაჭახელა ჰესი 2-ის მაჭახელას
ეროვნული პარკის საზღვრებში მოქცევამ
განაპირობა კომპანიის საინვესტიციო
გეგმებისა და ვალდებულებების არსებული
გარემოებებისადმი მისადაგების

Tbilisi June 30, 2016
Government of Georgia (Hereinafter the
“Government”) represented by the Minister of
Energy of Georgia, Kakha Kaladze;

“Electricity System Commercial Operator” JSC
(Hereinafter “ESCO”) represented by the general
director Vakhtang Ambokadze;

“Energotrans” LLC (Hereinafter “ET”),
represented by the director Kakha Sekhniashvili;

“Machakhela HPP” LLC (Hereinafter the
“Company”), ID number: 404940999,
represented by the director Vakhtang
Ghonghadze;

Whereas, on July 24, 2014 Memorandum of
Understanding (hereinafter the “MOU”) has been
concluded between the Government, ESCO, ET
and the Company as to implementation of initial
projects of Machakhela 1 and Machakhela 2
projects, as well as preparation of environmental
impact assessment report thereof and the Parties
are still guided by the terms of the MOU;

Whereas, the Ministry of Energy of Georgia and
the Company consider that carrying out of
preliminary technical and economic feasibility
works in modified elevations in the lower part of
Machakhela Cascade is reasonable;

Whereas, inclusion of Machakhela HPP 2 within
the boundaries of the National Park resulted in
the need for the company to adjust its investment
plans and obligations to the modified
circumstances;

აუცილებლობა;

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან
შეიტანონ შემდეგი ცვლილებები
მემორანდუმში:

1. მემორანდუმის 2.1. პუნქტი
შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს
შემდეგი რედაქციით:
„ობიექტი 1 - ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტში, მდინარე
მაჭახელაზე 100 მეტრიდან 300
მეტრამდე ნიშნულების ფარგლებში
ასაშენებელი 30 მგვტ-მდე
სიმძლავრის
ჰიდროელექტროსადგური („მაჭახელა
ჰესი 1“).“
2. მემორანდუმის 2.2. პუნქტი
შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს
შემდეგი რედაქციით:
„ობიექტი 2 - ხელვაჩაურის
მუნიციპალიტეტში, მდინარე
მაჭახელაზე 300 მეტრიდან 360
მეტრამდე ნიშნულების ფარგლებში
ასაშენებელი 19 მგვტ სიმძლავრის
ჰიდროელექტროსადგური („მაჭახელა
ჰესი 2“).“
3. მემორანდუმის 3.1 პუნქტი
შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს
შემდეგი რედაქციით:
„კომპანია არაუგვიანეს:
ა) 2017 წლის 1 დეკემბრამდე
უზრუნველყოფს ობიექტი 1-ის
პირველადი პროექტისა და
მშენებლობის გარემოზე
ზემოქმედების შეფასების ანგარიშის
მომზადებას, შემდგომში
საქართველოს კანონმდებლობით
დადგენილი წესით ეკოლოგიური
ექსპერტიზის დასკვნის და
მშენებლობის ნებართვის მიღების
უზრუნველსაყოფად;
ბ) 2017 წლის 31
დეკემბრამდე უზრუნველყოფს
ობიექტი 1-ის მშენებლობის, ფლობის
და ოპერირების ან მშენებლობაზე

Therefore, the Parties agree to make the following changes into the MOU:

1. Article 2.1 shall be amended and restated as follows:
“Object 1 – Hydro Power Plant with an installed capacity up to 30 MW shall be constructed in Khelvachauri Municipality, on the river Machakhela between the elevations 100m and 300m (“Machakhela HPP 1”).”
2. Article 2.2 shall be amended and restated as follows:
“Object 2 – Hydro Power Plant with an installed capacity of 19 MW shall be constructed in Khelvachauri Municipality, on the river Machakhela between the elevations 300 m and 360m (“Machakhela HPP 2”).”
3. Article 3.1 shall be amended and restated as follows:
“The Company shall no later than:
a) December 1, 2017 ensure completion of initial project and preparation of environmental impact assessment of Object 1, further for the purpose of acquiring the conclusion of ecological expertise and construction permit according to Georgian legislation;
b) December 1, 2017 ensure submission to the Government (Ministry of Energy of Georgia and Ministry of Environment and Natural Resources of Georgia) of respective proposal as to construction, ownership and operation of Object 1 or rejection of construction thereof;”

უარის თქმის შესახებ წინადადების მთავრობისთვის (საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) წარდგენას;“

4. მემორანდუმის 3.3. და 3.4. პუნქტები გაერთიანდეს და 3.3. პუნქტის სახით ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
- „მემორანდუმის 3.2. პუნქტის შესაბამისად კომპანიის მიერ ობიექტი-1-ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების და მთავრობისთვის წინადადების წარდგენის შემთხვევაში, მთავრობამ არაუმეტეს 3 თვის ვადაში უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ობიექტი-1-ის მშენებლობასთან დაკავშირებით და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ხელშეკრულებას ობიექტი 1-ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე. ამასთან, მთავრობის უარყოფითი გადაწყვეტილება შეიძლება გამოწვეულ იქნას კომპანიის მიერ კანონმდებლობით ან მემორანდუმით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვების შედეგებით. მშენებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.“
5. მემორანდუმის 3.5. პუნქტში არსებული მითითება 3.4. პუნქტზე შეიცვალოს 3.3. პუნქტზე მითითებით.

4. Article 3.3 and 3.4 shall be combined and restated as Article 3.3 as follows:
- “Pursuant to Article 3.2. of the MOU, in the event the Company makes decision as to construction, ownership and operation of Object 1 and following submission of respective proposal to the Government, the latter shall within 3 months review and make decision on the construction of Object 1. In the event of positive decision of the Government the Parties shall sign the respective BOO (Build, Own, Operate) Agreement within 3 months period of the date of the abovementioned decision of the Government. Herewith, the negative decision of the Government as to the execution of the BOO Agreement may stem from the failure by the Company to comply with the requirements of Georgian legislation and/or the terms of this MOU or from the environmental impact assessment report and results of public hearings.”
5. Reference in Article 3.5 as to Article 3.4 shall be changed into the reference to Article 3.3.

6. მემორანდუმის 3.6. პუნქტიდან ამოღებულ იქნას „ე“ ქვეპუნქტი, ხოლო ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მთავრობის მიერ მემორანდუმის 3.3. პუნქტის შესაბამისად უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ან 4-თვიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში;“
7. მემორანდუმის 4.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „კომპანია არაუგვიანეს:
 ა) 2018 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოფს ობიექტი 2-ის პირველადი პროექტისა და მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას, შემდგომში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და მშენებლობის ნებართვის მიღების უზრუნველსაყოფად;
 ბ) 2018 წლის 30 ივნისამდე უზრუნველყოფს ობიექტი 2-ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების ან მშენებლობაზე უარის თქმის შესახებ წინადადების მთავრობისთვის (საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) წარდგენას;“
8. მემორანდუმის 4.3. და 4.4. პუნქტები გაერთიანდეს და 4.3. პუნქტის სახით ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “მემორანდუმის 4.2. პუნქტის შესაბამისად კომპანიის მიერ ობიექტი-2-ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების და მთავრობისთვის წინადადების

6. Sub-article “e” of Article 3.6 shall be removed, whereas Sub-article “c” of this Article shall be amended and restated as follows:
 “In the event of negative decision of the Government made in accordance with Article 3.3 of the MOU or in the event of expiration of 4 months period referred to above;”
7. Article 4.1 shall be amended and restated as follows:
 “The Company shall no later than:
 a) June 1, 2018 ensure completion of initial project and environmental impact assessment of Object 2, further for the purpose of acquiring the conclusion of ecological expertise and construction permit according to Georgian legislation;
 b) June 30, 2018 ensure submission to the Government (Ministry of Energy of Georgia and Ministry of Environment and Natural Resources of Georgia) of respective proposal as to construction, ownership and operation of Object 2 or rejection of construction thereof;”
8. Articles 4.3 and 4.4. shall be combined and restated in the form of Article 4.3 as follows:
 “Pursuant to Article 4.2. of the MOU, in the event the Company makes decision as to construction, ownership and operation of Object 2 and following submission of the respective proposal to the Government, the latter shall within 3

წარდგენის შემთხვევაში, შემთხვევაში, მთავრობამ არაუმეტეს 3 თვის ვადაში უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ობიექტი-2-ის მშენებლობასთან დაკავშირებით და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ხელშეკრულებას ობიექტი-2-ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე. ამასთან, მთავრობის უარყოფითი გადაწყვეტილება შეიძლება გამოწვეულ იქნას კომპანიის მიერ კანონმდებლობით ან მემორანდუმით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვების შედეგებით. მშენებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში.“

9. მემორანდუმის 4.5. პუნქტში არსებული მითითება 4.4. პუნქტზე შეიცვალოს 4.3. პუნქტზე მითითებით.
10. მემორანდუმის 4.6. პუნქტიდან ამოღებულ იქნას „ე“ ქვეპუნქტი, ხოლო ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მთავრობის მიერ მემორანდუმის 4.3. პუნქტის შესაბამისად უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ან 4-თვიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში.“
11. მემორანდუმის 6.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განხორციელების მიზნით, მთავრობა იღებს ვალდებულებას მიაწოდოს

months review and make decision on the construction of Object 2. In the event of positive decision of the Government the Parties shall sign the respective BOO (Build, Own, Operate) Agreement within 3 months period of the date of the abovementioned decision of the Government. Herewith, the negative decision of the Government as to the execution of the BOO Agreement may stem from the failure by the Company to comply with the requirements of Georgian legislation and/or the terms of this MOU or from the environmental impact assessment report and results of public hearings.”


9. Reference in Article 4.5 as to Article 4.4 shall be changed into the reference to Article 4.3.
10. Sub-article “e” of Article 4.6 shall be removed, whereas Sub-article “c” of this Article shall be amended and restated as follows:
“In the event of negative decision of the Government made in accordance with Article 3.3 of the MOU or in the event of expiration of 4 months period referred to above;”
11. Article 6.1 of the MOU shall be amended and restated as follows:
“If needed, for the purposes of implementing the project, the Government undertakes to grant the Company special right for the use of land

კომპანიას პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლება არაუმეტეს მემორანდუმის 3.1. და 4.1. პუნქტების „ა“ ქვეპუნქტებით დადგენილი ვადით, იმ პირობით, თუ კომპანია დააკმაყოფილებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს კომპანიას შესაბამისი ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვებაში.“

12. მემორანდუმის 6.2. და 6.4. პუნქტებში არსებული მითითებები 3.4. და 4.4. პუნქტებზე შეიცვალოს 3.3. და 4.3. პუნქტებზე მითითებით.
13. მემორანდუმის 6.5. პუნქტი ამოღებულ იქნას მემორანდუმიდან.
14. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები, ასევე მათი ნუმერაცია რჩება უცვლელი.
15. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
16. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად. ტექსტებს შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში ქართულ ტექსტს ენიჭება უპირატესი ძალა.

17. მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა



კახა კალაძე

plots necessary for the projects for the terms not exceeding the terms set out in Articles 3.1.(a) and 4.1.(a), provided that the Company will comply with the requirements of Georgian legislation. Herewith, the Government within its competence with assist the Company in obtaining relevant permits and licenses.”

12. References in Article 6.2 and 6.4 to Articles 3.4 and 4.4 shall be changed into the references to Article 3.3 and 4.3.
13. Article 6.5 shall be removed from the MOU.
14. All other Articles and provisions of the MOU shall remain unchanged.
15. The present Agreement shall enter into force upon its signature by all parties.
16. The present Agreement constitutes an indivisible part of the MOU and is in force along with the MOU. The present Agreement is made in 4 equally binding copies, in Georgian and English languages. In the event of any discrepancy between Georgian and English texts, Georgian text shall prevail.


17. Signatures:

Government of Georgia




Kakha Kaladze

სს „ელექტროენერგეტიკული
კომერციული ოპერატორი“




ვახტანგ ამბოკაძე

შპს „ენერგოტრანსი“




კახა სეხნიაშვილი

შპს „მაჭახელა ჰესი“



ვახტანგ ღონღაძე

სისტემის „Electricity System Commercial Operator“ JSC




Vakhtang Ambokadze

„Energotrans“ LLC



Kakha Sekhniashvili

„Machakhela HPP“ LLC



Vakhtang Ghonghadze



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1055 2016 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და შპს „მაჭახელა ჰესი 1-ს“ შორის 2014 წლის 24 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების-მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და შპს „მაჭახელა ჰესი 1-ს“ შორის 2014 წლის 24 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე დასადები შეთანხმება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010100482430416

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgassli str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№3251

19 / მაისი / 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ნატონ ირაკლი ხმაღამეს

№3051

ნატონ ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 4 მაისის №04/1739 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ენერგოტრანს“ და შპს „მაკაბელა ჯეს“ შორის 2014 წლის 24 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში – „მემორანდუმი“) ცვლილების შეთანხმების პროექტი (შემდგომში – „შეთანხმების პროექტი“), რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. შეთანხმების პროექტის მე-4 მუხლთან მიმართებით შევნიშნავთ, რომ მემორანდუმის განახლებული 3.3 პუნქტით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება მიზანშეწონილია, ასევე, დამოკიდებული იყოს კანონმდებლობითა და ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების კომპანიის მიერ დაკმაყოფილების ფაქტზე, როგორც ის მოცემული იყო მემორანდუმის 3.3 მუხლის პირველად ვერსიაში. ამასთან, მემორანდუმის განახლებულ 3.3 პუნქტში მიზანშეწონილია, მიეთითოს, რა სახის ხელშეკრულებას უნდა მოეწეროს ხელი საქართველოს მთავრობის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და, ასევე, განისაზღვროს აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის ვადა.

2. იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმების პროექტის მე-11 მუხლით განსაზღვრული მემორანდუმის განახლებული 6.1 პუნქტი ადგენს მემორანდუმის 6.5 პუნქტის შესაფუძვლებს და ვინაიდან 6.5 პუნქტით გათვალისწინებული ვადები უკვე გასულია და არ შეესაბამება შეთანხმების პროექტის მე-7 მუხლით განსაზღვრულ მემორანდუმის განახლებულ 4.1 პუნქტში მოცემულ ვადებს, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტით განისაზღვროს მემორანდუმის 6.5 პუნქტის და ამავე პუნქტზე არსებული ყველა მითითების ამოღების, გაუქმების ან ცვლილების საკითხი, ხოლო მემორანდუმის განახლებული 4.1 პუნქტით განსაზღვრულ იქნეს კომპანიის ვალდებულებების შესრულების კონკრეტული ვალდებულებები თარიღებით.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მემორანდუმი დადებულია ორ ენაზე, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ასევე უნდა არსებობდეს ინგლისურ ენაზეც.

პატივისცემით,

ზ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გონა ლორთქიფანიძე



ენერგოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

18/05/2016

N 266

266-01-2-201605181646



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 4 მაისის N 04/1740 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს „ენერგოტრანსმა“ განიხილა თქვენს მიერ ზემოთ აღნიშნული წერილით მოწოდებული საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“, შპს „ენერგოტრანსს“ და შპს „მაჭახელა ჰესს“ შორის 2014 წლის 24 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

Z Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/516
06/05/2016

516-01-2-201605061151



თანხმობა ხელმოსაწერი
ურთიერთგაგების მემორანდუმში
ცვლილებების შეტანის თაობაზე
შეთანხმების პროექტზე

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმაღაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 04 მაისის #03/1740 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“, შპს „ენერგოტრანსს“ და შპს „მაჭახელა ჰესს“ შორის 2014 წლის 24 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი (მაჭახელა ჰესი 1 და მაჭახელა ჰესი 2), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვანჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ.კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16073746, 05/05/2016 17:30:07

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს მაჭახელა ჰესი
სამართლებრივი ფორმა: შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404940999
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 11/04/2012
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ვ. მარჯანიშვილის ქ., №6
დამატებითი ინფორმაცია:
ელ. ფოსტა: office@kgenergy.ge
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - 01024017935, ვახტანგ ღონღაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
201332622R, სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ პრაივიტ ლიმიტედ, სინგაპური, , , 04.12.2013	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge